ოშო / OSHO

სექსიდან სუპერცნობიერებამდე

From Sex to Superconsciousness

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2023

წიგნში ავტორი აღწერს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შინაგანი ენერგიიდან სექსუალურ ენერგიამდე, სექსუალური ენერგიის საკვები და სუბლიმაცია, ფიტავს თუ არა სექსი ენერგიას? ძალადობა და სექსუალური სურვილი, ცოდნა და სექსუალური დაკმაყოფილება, სექსი, სიყვარულის გენეზისი, რა არის სიყვარული? რეპრესიიდან ემანსიპაციამდე, მედიტაციის მწვერვალი, სექსი – სუპერ-ატომი, ვნებიდან ღმერთამდე და ა.შ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, დასავლელი ფსიქოლოგები, ფროიდიდან იუნგამდე, წერდნენ სექსის მეორე დონის – ფსიქოლოგიური დონის შესახებ, მაგრამ სექსის მესამე დონე, რომელზედაც ოშო ამ წიგნში საუბრობს, არც დასავლეთში იცოდნენ და არც აღმოსავლეთში, ის სექსის მესამე ანუ სულიერი დონეა. ამავდროულად ავტორი აღნიშნავს, რომ ფროიდს არ შეუსწავლია ნორმალური ჯანმრთელი სექსი, ის სწავლული იყო და ავადმყოფობებს, გაუკუღმართებებს იკვლევდა, ოშოს მიზანი კი სექსის სულიერი მხარეების კვლევა და წარმოჩენაა.

მთარგმნელი: გია ბერაძე
რედაქტორი: დავით ცომაია
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5921-2

სარჩევი

თავი I 5
შინაგანი ენერგიიდან სექსუალურ ენერგიამდე 5
ის არის აქ და ახლა 17
ტოტალური მოქმედების პარადოქსი 20
სექსუალური ენერგიის საკვები და სუბლიმაცია 29
თავი II 44
ტანტრას ბილიკი სუპერენერგიისაკენ 44
ფიტავს თუ არა სექსი ენერგიას? 58
ძალადობა და სექსუალური სურვილი 61
ცოდნა და სექსუალური დაკმაყოფილება 65
თავი III 69
ანარეკლი სარკეში 69
თავი IV 96
სექსი, სიყვარულის გენეზისი 96
სიყვარული 132
თავი V 133
რეპრესიიდან ემანსიპაციამდე 133
თავი VI 166
მედიტაციის მწვერვალი 166
თავი VII 199
სექსი – სუპერ-ატომი 199
თავი VIII 224
ვნებიდან ღმერთამდე 224

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 265

თავი I
შინაგანი ენერგიიდან სექსუალურ ენერგიამდე[1]

ცხოვრებას მის ყველა დონეზე შეიძლება ორი მხრიდან შევხედოთ. მას ორი ასპექტი აქვს, ერთი – მატერიალური და მეორე – სულიერი. აუცილებელია, სექსი განვიხილოთ ასევე ამ ორი თვალსაზრისით. სექსის ერთი ასპექტი ბიოლოგიურია და უკავშირდება სხეულსა და მის ნაწილებს, მეორე არის *ენერგია*, სული, რომელიც გონებასთან ცნობიერებითაა დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია, თავდაპირველად ორ სიტყვას ჩავწვდეთ. პირველია *ბიოლოგიური* ენერგია, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის უჯრედებთან, ადამიანის სხეულს რომ ქმნიან. ეს უჯრედები სხეულის ნაწილებია. ის ბიოლოგიური წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ *თესლს, სექსუალურ ენერგიას* თუ რაიმე სხვა სახელს ვუწოდებთ, შეიძლება შეუიარაღებელი თვალითაც დავინახოთ. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მასთან დაკავშირებული ასპექტი, რომელსაც შეიძლება შინაგანი ენერგია ანუ *ენერგია* ეწოდოს. მას შეგვიძლია დავარქვათ სექსუალური ენერგია ან შინაგანი ენერგია. ის მაგნიტს ჰგავს. მაგნიტში არის რკინის ნაჭერი, რომელსაც ვხედავთ და ასევე მასში მის ყველა მხარეს არის მაგნიტური ველი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ, თუ მასთან ახლოს რკინის ნაჭრებს მივიტანთ, მაგნიტური ენერგია მათ მიიზიდავს. იქ არის ველი, რომელშიც ეს ენერგია მოქმედებს. რკინის ეს ნაჭერი დარჩება რკინის ნაჭრად მაშინაც კი, თუ ის მაგნიტურ ენერგიას დაკარგავს. არ იქნება არავითარი

1. 14 ნოემბერი, 1970 წელი, ვუდლენდი, ბომბეი, ინდოეთი.

განსხვავება ამ ნაჭრის წონაში, არ იქნება არავითარი განსხვავება მის შემადგენლობაშიც კი, არ იქნება არავითარი განსხვავება მის ფორმაშიც. მაგრამ ექნება ერთი ფუნდამენტური განსხვავება თავის შიგნით – მასში არ იქნება მაგნიტური ენერგია და მიზიდულობის ენერგია აღარ იმოქმედებს. ეს მაგალითი საილუსტრაციოდ მოგვყავს.

სული არის მაგნიტური ველი. სხეული ხილულია, მაგრამ სულის მხოლოდ ძალა ჩანს; მიზიდულობის მხოლოდ შედეგი ჩანს. დედამიწა ჩანს, მაგრამ მისი გრავიტაციის ენერგია, რომელიც განუწყვეტლივ გვიზიდავს, არ ჩანს. თუ დედამიწა გაგვათავისუფლებს, ჩვენ წამითაც კი ვერ დავრჩებით აქ. კოსმოსში მოგზაურები უდიდესი პრობლემის წინაშე მაშინ დგებიან, როცა მათი კოსმოსური ხომალდი დედამიწის ორას მილიან მაგნიტურ ველს ტოვებს და შედის სივრცეში, რომელშიც გრავიტაცია არ არის. ამის შემდეგ მათ შეიძლება ხომალდში აქეთ-იქით ქარის ნაკადივით იტრიალონ, თუ მათი ქამარი სკამზე კარგად არ იქნება დამაგრებული. ისინი გაზის ბალონებივით იქნებიან, რომლებიც სახლის ჭერსაც კი ეხება. დედამიწა გვიზიდავს, მაგრამ ამის შესახებ არ ვიცით, რადგან ეს არ არის ისეთი რამ, რაც შეიძლება დაინახო. რაც ჩანს, ეს არის დედამიწა, რაც არ ჩანს, ეს არის *გრავიტაცია*. რაც ჩანს, ეს არის სხეული, რაც არ ჩანს, ეს არის *გონება* და *სული*. ასევე აუცილებელია, გავიგოთ სექსუალური ენერგიის ორი ასპექტი – *რაც ჩანს*, არის სიცოცხლის ბიოლოგიური უჯრედები და *რაც არ ჩანს*, არის მათი სექსუალური ენერგია. თუ ამ ფაქტს ზუსტად ვერ გავიგებთ, შემდგომი დეტალების ჩაწვდომა გაძნელდება.

ინდოეთში სექსუალურ ენერგიაზე დიდი ექსპერიმენტები ჩატარდა. ამ ქვეყანას ძალიან ხანგრძლივი ისტორია აქვს პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული. ჩვენ გვაქვს ისეთი ქანდაკებები, როგორიცაა ჰარაპა და მოჰენჯოდარო, რომლებიც მაღალგანვითარებულ იოგას სისტემაზე მეტყველებენ. ჰარაპას ქანდაკებები თითქმის შვიდი ათასი წლისაა. ამ უხანგრძლივეს პერიოდში ბევრი საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარდა სექსუ-

ალურ ენერგიასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ არასწორად ვიგებთ მათ და არასწორ ინტერპრეტაციას ვუკეთებთ. სიძნელეებს იმიტომ ვაწყდებით, რომ სექსუალურ ენერგიას ვიღებთ, როგორც ბიოლოგიურ ენერგიას. ამ ქვეყნის იოგები ამბობენ, რომ სექსუალურ ენერგიას შეუძლია ქვემოდან ზემოთ წავიდეს, მაგრამ, მეცნიერების თქმით, როცა სხეულს ვკვეთთ, ვხედავთ, რომ იოგის თესლის ნაწილაკებიც კი სხეულში იმ ადგილზეა, სადაც მათ პოულობენ ჩვეულებრივი ადამიანის სხეულში. თესლი ზემოთ არ ადის, მაღლა არ მოგზაურობს, მას ეს არ შეუძლია. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს, ჩავწვდეთ სექსუალური ენერგიის ზემოთ სვლის პროცესს. ეს თესლის ნაწილაკების საკითხი კი არ არის, არამედ იმ ენერგიისა, რომელიც დაკავშირებულია თესლის ნაწილაკებთან და არ ჩანს, მაგრამ შეუძლია ზემოთ გადაადგილდეს. როცა ადამიანს სექსუალური ურთიერთობა აქვს, მისი ბიოლოგიური ნაწილაკები (თესლი) ტოვებს მის სხეულს და მასთან ერთად მისი სექსუალური ენერგიაც ქრება ცაში, სექსუალური ნაწილაკები მოგზაურობს, რათა ახალ სიცოცხლეს შთაბეროს სული.

სექსუალური ურთიერთობისას ორი მოვლენა ხდება – ერთი არის ბიოლოგიური და მეორე – ფიზიკური. ბიოლოგიურ დონეზე თესლი მოგზაურობს თავისი საპირისპირო ნაწილაკების საძებნელად, რათა ახალ სიცოცხლეს მისცენ დასაბამი. ფიზიკურ დონეზე კი (რომელსაც იოგა იკვლევს) სექსუალური ურთიერთობის დროს მენტალური ენერგია თავისუფლდება. ის, უბრალოდ, ქრება სივრცეში და არსებობს გზები და მეთოდები ამ მენტალური ენერგიის ზემოთ დინებისა. ეს არავითარ შემთხვევაში არ აგერიოთ თესლის მოგზაურობის ბიოლოგიურ ასპექტთან. მას არ შეუძლია მიაღწიოს საჰასრარას[2] და ასტიტ-

2. საჰასრარა – მთავარი ჩაკრა ანუ სრულყოფილების ჩაკრა. ეს არის უმაღლესი ცენტრი, რომელიც თავის თხემზე იმყოფება. იგი ცოდნის უზარმაზარი საცავია. მისი ჩამოყალიბება და განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდება.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
9. სიორენ კირკეგორი – ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

10. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შესავალი
13. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
14. ზ. ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია
15. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
16. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან

17. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
18. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

19. ბერტრან რასელი – ესეები
20. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
22. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

23. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
24. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
25. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
26. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

27. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
28. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
29. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
30. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
31. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
32. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

33. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
34. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
35. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
36. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

37. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
38. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

39. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
40. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
41. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
42. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

43. ოშო – ცნობიერების მზე
44. ოშო – საწყისთა საწყისი
45. ოშო – სიყვარულის ძალა
46. ოშო – რა არის მედიტაცია?
47. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

48. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
49. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

50. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
51. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
52. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
53. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

54. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
55. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

56. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
57. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
58. გიორგი გურჯიევი – შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
59. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
60. გ. გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

61. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
62. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
63. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
64. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა
65. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

66. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
67. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
68. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

69. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
70. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
71. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
72. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

73. ანი ბეზანტი – კარმა
74. ანი ბეზანტი – თეოსოფია
75. ანი ბეზანტი – ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები